იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 16 (176)

აგვისტო,

1967 წელი



ბათუმი. კინოთეატრი „თბილისი“.

ჯავი ოქროს, ქალაქი

ამბობენ, რომ ჰიათურის პირველაღმოჩენმა, როცა მაღლობიდან ყვირილის ხეობას გადახედა, წამოიძახა: „ჰია თუ რა“? იგი გააოცა რუხმა კლდეებმა და მათ შორის დაკლაკნილმა მდინარემ. აქედან წარმოიშვა ქალაქის სახელწოდებაც.

ინყინერებისათვის, რომლებმაც ყვირილის ნაპირებზე აღმოაჩინეს პირველხარისხოვანი მანგანუმის უმდიდრესი მარაგი, კლდეები დაბრკოლება არ იყო. 1879 წელს აკაკი წერეთლის ინიციატივით დაიწყო ჰიათურის მაღაროების დამუშავება.

ჰიათურა მადას უღვიძებდა უცხოეთის მონოპოლიებს. ცნობილია, მაგალითად, რომ 1918 წლის ივნისში კაიზერის გერმანია შეჰპირდა საქართველოს 50-80 მილიონ მარკა სესხს, ხოლო თავისი კრედიტის საწინდრად მოითხოვდა ჰიათურის მაღაროებსა და ფოთის ნავსადგურს. ბერლინში შეიქმნა ქართულ-გერმანული საზოგადოება საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლოატაციისათვის, და მხოლოდ გერმანიის დამარცხებამ პირველ მსოფლიო ომში ხელი შეუშალა ამ კაბალური ხელშეკრულების განხორციელებას.

ინგლისელი იმპერიალისტები, რომლებსაც საერთოდ გულღიად შეხვდნენ, თავიანთ გერმანელ „კოლეგებზე“ უფრო იღბლიანი აღმოჩნდნენ. ჰიათურის მაღაროების ექსპლოატაციით ისინი უდიდეს მოგებას იღებდნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უცხოელ „მფარველებს“ შინ წაბრძანება მოუხდათ. შედგენილი იყო საბადოს ექსპლოატაციის ზუსტი, მეცნიერული გეგმა, რომელიც არ გამორიცხავდა აგრეთვე ორივე მხარისათვის მისაღებ კონცესიას.

კონცესია აიღო ცნობილმა ამერიკელმა მრეწველმა ავერელ ჰარიმანმა. ხელშეკრულებით მას უნდა შეესრულებინა მთელი რიგი ვალდებულებანი, მაგრამ ორი წლის შემდეგ არ შეუსრულებია არც ერთი მათგანი. საბჭოთა მთავრობამ გააუქმა ხელშეკრულება.

ჰიათურა დღეს ის აღარ არის, რაც 40 წლის წინათ იყო. თორმეტი მაღარო, სადაც ნიჩაბი, წერაქვი და ცხენი დიდი ხანია შეცვალეს ავტოგატებმა, წელიწადში იძლევა ასეულ ათასობით ტონა მადანს. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა მანგანუმის შენადნობებს გზავნის მსოფლიოს ათობით ქვეყანაში.

მანგანუმის ამოღება იზრდება. შენდება ახალი სამთო საწარმოები — „დარკვეთის“ მეორე რიგი, მაღარო „ითხვისი“... მშენებარე საფლოტაციო ფაბრიკა ყვირილაში დაიჭერს მანგანუმის უმცირეს ნაწილაკებს და დაუბრუნებს მრეწველობას (მდინარეს ყოველწლიურად მიაქვს ასეულ ათასობით ტონა მანგანუმი).

ქვის ტომარში, როგორც ყვირილის ხეობას უწოდებდნენ, აშენდა ქალაქი. მაღლივმა შენობებმა დაფარეს კლდეები, ხოლო მწვანე ნარგავებმა დაამშვენეს მოსაწყენი პეიზაჟი. ახლა ქალაქის საბინაო ფონდი შეადგენს თითქმის 250 ათას კვადრატულ მეტრს. ბევრია ეს თუ ცოტა? თვითონ განსაჯეთ: ქალაქში 28 ათასი მცხოვრებია.. .

ამბობენ, ჰიათურა თავისებურად უნიკალური ქალაქიაო... ეს სწორია. მისი სატრანსპორტო არტერიები ძირითადად თავმოყრილია... ჰაერში. ქალაქში 65 სამგზავრო და საბაგირო გზაა.

და მაინც ქალაქს ამშვენებენ არა ღირსშესანიშნაობანი, არამედ ადამიანები. ჰიათურაში მუშაობს 1.200 მასწავლებელი, 144 ექიმი, 1.028 ინჟინერი. ქალაქის ყოველ მეშვიდე მცხოვრებს უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური განათლება აქვს.

ყოველივე ეს ჩვენს კორესპონდენტს აცნობა ჰიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უშანგი სხირტლაძემ, 42 წლის ინჟინერმა, წარჩინებული მაღაროელის (ვარლამ სხირტლაძე, ამჟამად პენსიონერი) შვილმა. უშანგი სხირტლაძე საინტერესოდ გვიამბობს ყვირილაზე აგებული ახალი წყალჭომარდობის სადგურის შესახებ, ჰიათურის „ცათამბჯენების“ — 14-სართულიანი შენობების შესახებ, რომელთა საძირკველი უკვე ჩაყრილია, გვიჩვენებს სტადიონს — ქალაქის ერთერთ საუკეთესო არქიტექტურულ ნაგებობას.

თაობათა მემკვიდრეობა განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს ჰიათურაში. მამები და შვილები აქ ერთმანეთის ღირსი არიან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მუშა მიხეილ ღუღუნიშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მებიგე ვარდენ გოგატიშვილი, მემანქანე იური ბირბიჩაძე, სოციალისტური შრომის გმირი ამწმენდი პეტრე გოგატიშვილი და სხვები მტკიცედ ატარებენ მამების ესტაფეტას.





კოლხეთის „ოქროს საწმისი“

ხოგი. სუპტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთში“, რომელიც სულ ორი წლის წინათ გაჩნდა კოლხეთის დაბლობის რუკაზე, საექსპლოატაციოდ გადაეცა ჭაობებისათვის წართმეული კიდევ 67 ჰექტარი მიწა. ამ მიწებზე გაშენდება ჩაისა და დაფნის პლანტაციები.

მიმდინარე წელს გეგმით სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში უნდა მოექცეს 220 ჰექტარი ამოშრობილი მიწები. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა ეს ციფრი 250 ჰექტარამდე გაადიდოს. ამ მიწებზე გაშენდება ჩაი, ციტრუსები, ბამბუკი.

ყველა კულტურა ირგვება მათი მოვლა-მოყვანის სრული მექანიზაციის გათვალისწინებით.

ჭაობებზე შეტევასთან ერთად საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარეობს ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა. ამ დღეებში აქ ამუშავდა ახალი მუშათა სასადილო, ხოლო იუბილესათვის გაიხსნება კულტურის სასახლე.

სასოფლო. სამეურნეო წარმოების განვითარებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებაში ჭობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში.

სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი მაჩვენებლები მოიპოვა. ძირითადი კულტურების საშუალო მოსავლიანობა გაიზარდა: ჩაისა — ერთ ჰექტარზე 6.078 კილოგრამამდე, ციტრუსების — 2.283 კილოგრამამდე, სიმინდის — 44 ცენტნერამდე, თითოეულ ძროხაზე საშუალოდ მიიღეს 1.788 ლიტრი რძე.

შარშან კოლმეურნეობამ მიიღო 1.344.862 მანეთის შემოსავალი. არტელის წევრებს პრემიის სახით ერგოთ 86.693 მანეთი.

სურათებზე: ჭობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლადიმერ ბაჯელიძე; სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე ნუნუ თხილაიშვილი; ახალგაზრდა მოწინავე კოლმეურნეები (მარცხნიდან მარჯვნივ) გული ემირიძე, ცისანა გოგიტიძე, ლია თამაზაშვილი და მაყვალა სანიკიძე სოფლის მხატვრული თვითმოქმედების აქტიური მონაწილენიც არიან.



ახალი საამქრო

ჟუთაისის ლითოფონის ქარხანაში ამუშავდა ახალი და ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი საამქრო, რომელიც უშვებს გათეთრებულ მიკროდაქუცმაცებულ ბარიტს. ამ ნაწარმს იყენებენ ლაქსაღებავების მრეწველობაში, უმატებენ ტიტანურ მათეთრას.

საგულისხმოა, რომ თუმცა საქართველოში ბარიტის რამდენიმე საბადოა, მაგრამ ახალი პროდუქციის წარმოებისათვის ვარგა მხოლოდ ჩორდის ბარიტი, განსაკუთრებით თეთრი.

გათეთრებული ბარიტის გამოყენება დაზოგავს რამდენიმე ათას ტონა ტიტანის მათეთრას. მიკრობარიტი ექვსრვაჯერ უფრო იაფია.

ციტრუსები, დაფნა...

რაიონულ ცენტრ ხობიდან ათი კილომეტრის დაშორებით მთების თვალწარმტაც კალთებზე გადაჭიმულა ხეთის დაფნისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა. ახლა მთის კალთებზე დგას მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლისა და დაფნის ნარგავების სურნელება. მათ 354 ჰექტარი უკავიათ.

ათი წლის წინათ აქ უღრანი ტყე იყო. ფოთლოვან ხეებთან ერთად მზისკენ მიიწევდა დაფნაც. ათი წლის წინათ მთებში მოვიდნენ მკაფავები. როცა ფოთლოვანი ხეების მეზობლობისაგან განთავისუფლდა, გამაგრდა დაფნა. შარშან თითოეულ ჰექტარზე უკვე მოკრიფეს 354 ცენტნერი დაფნის ფოთოლი.

წლევანდელი ზამთარი როდი იყო კარგი. ყინვა 18 გრადუსს აღწევდა. მეურნეობის მუშები იბრძოდნენ თითოეული ხის, თითოეული ბუჩქის სიცოცხლისათვის და გამარჯვებული გამოვიდნენ სტიქიასთან შეტაკებაში. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ივალდებულა წელს მისცეს სასელმწიფოს არა 40, არამედ 150 ტონა ციტრუსები და 135 ტონა დაფნის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 125 ტონისა. გადაწყდა მიიღონ სულ ცოტა 252 ათასი მანეთი მოგება.

ახალი ცხოვრების ჩვიდმეტი თვე

უკვე 17 თვე სრულდება, რაც მე, შოთა თარხნიშვილი, დავბრუნდი ჩემს სამშობლოში და დღემდე არ მაკლია ნაცნობთა და უცნობთა ვიზიტები ბინაზე თუ სამსახურში. ყველას აინტერესებს ამბავი მათი შვილებისა და ქმრებისა, ძმებისა და ნათესავებისა, რომლებიც უგზოუკვლოდ არიან დაკარგულნი...

ერთხელ კიევის ბანაკში პატარა ჯიბის სარკის ნატეხი ვიპოვნე და, რა თქმა უნდა, შიგ ჩავიხედე. ნეტავ არ ჩამეხედა! ჩემი თავი ვეღარ ვიცანი, რადგან სულ სხვა, მოხუცი, წვერიანი, გამხდარი, თვალებჩაცვივნული კაცი დავინახე, და ძლიერ შევწუხდი. ის კოხტა შოთა 70-80 წლის მოხუცებული ჩანდა. სარკე იმ წუთში გადავაგდე და ვცდილობდი არასოდეს არ ჩამეხედა სარკეში. მალე გერმანიაში წაგვასხეს. იქ 8 თვის შემდეგ პირი გავიპარსე და ჩემი თავი შემეცოდა, როცა დალაქი პირს მკრეჭდა. ერთი სიტყვით, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ტყვეობაში თუ ძლიერ ახლო მეგობარი არ იყო, შეუძლებელია კაცის სახის დახსომება.

გათავდა ომი. ვინ როგორ შევძელით, ისე შევაფარეთ თავი უცხოეთს, რადგან სამშობლოში დაბრუნებისა გვეშინოდა.

ტყვედ ყოფნა ხომ მხოლოდ შემთხვევის ბრალი იყო, და მეც და სხვებიც შემთხვევის მსხვერპლნი გავხდით. ბევრი დამცირება გადავიტანეთ, მრავალჯერ ვიდექით სიკვდილის რიგში და მხოლოდ შემთხვევით ავცდით მას. დღეს, როცა წარსულს ვიხსენებ, თვითონ მიკვირს, როგორ გადავრჩით მე და ჩემი ზოგიერთი ნაცნობ-მეგობარი.

ომის შემდეგ პარიზში დავრჩი. იქიდან არგენტინაში წავედი. 1949 წელს ცოლი შევირთე და იქაურ ცხოვრებას მივეჩვიე; როცა რამდენიმე ქართველი ერთმანეთს შევხვდებოდით, იმ წუთში სალაპარაკოდ რესტორანს მივაშურებდით ხოლმე. არ მახსოვს ღვინით სავსე ჭიქა აგვევსოს და პირველი სამშობლოსა და სამშობლოში დარჩენილების სადღეგრძელო არ შეგვესვას. ყველა ქართველს უყვარს საქართველო, მხოლოდ არ ვიცი რატომ გაურბიან მას! მეც ხომ 23 წელიწადი ვიმალებოდი, მაგრამ საბოლოოდ მისმა სიყვარულმა მძლია. როგორც კი გავიგე, რომ ჩემი ორი დღის შერთული ნინა ჯავახიშვილი უქმრო იყო, რაღა ჯანდაბა გამაჩერებდა უცხოეთში! იმ დღიდან აღმეძრა სურვილი დაბრუნებისა, მაგრამ კიდევ ვეჭობდი, ალბათ ჩემი ჩაყვანა და დასჯა უნდათ, რადგან ტყვედ ჩავბარდი-მეთქი. საბედნიეროდ, იმ დროს ვანო როხროხაძემ მიიღო დედის წერილი და მისი წაკითხვის შემდეგ ვენდე სამშობლოს.

14 დეკემბერს დილით ვესტუმრე საბჭოთა საკონსულოს და დაბრუნების განცხადება შევიტანე...

ახლა მრავალი ქართველი ბრუნდება სამშობლოში მუდმივად ან ერთი თვით, ტურისტული ვიზით. ამ დღეებში გავიარე ჩვენს რედაქციაში და იქ გავიცანი ერთი ინგლისიდან ჩამოსული ქართველი, სახელად საშა, რომელსაც „სამშობლოს ხმის“ რედაქციამ ვიზა გაუგრძელა, რადგან ერთი თვით ჰქონდა დარჩენის უფლება. დღეს მრავალ ოჯახს ნახავთ როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში, სადაც დაკარგულთა სურათები შავ ჩარჩოშია ჩასმული. განსაკუთრებით ჩვენი ქართველი ხალხი გლოვობს ამ ამბავს, ჩემი სურათიც ჩემს ძმასთან ერთად საწყალ დედაჩემს და ცოლს გაედიდებინათ და ოთახში საპატიო ადგილზე ჰქონდათ ჩამოკიდებული. არის ისეთი ოჯახებიც, 3-4 სურათს შეხვდებით...

1961 წელს არგენტინიდან ქართველ ფეხბურთელებს გამოვატანე სამი სურათი. გივი ჩოხელს დედაჩემისათვის უნდა გადაეცა ჩემი სურათები, მაგრამ დედის მაგივრად ჩემი დისწული შეხვედრია სახლში, როგორც კი ვუცნივარ, ერთი უკივლია, ბიძაჩემიაო და გული წასვლია.

ერთ დღეს თბილისის „დინამოს“ გუნდი მოსკოვში უნდა გაფრენილიყო, ჩემი და აეროპორტში იქ მოლარედ მუშაობდა. როცა გაიგო, სალარო მიატოვა და იკითხა: ბიჭებო, ვინ იყავით არგენტინაშიო; ჩოხელმა, მესხმა და მეტრეველმა თქვეს: ჩვენ ვიყავით, ქალბატონო. ჩემს დას ტირილი ავარდნია, ჩოხელს კისერზე მოხვევია და კოცნა დაუწყია: ჩემი ძმა გინახავთო. გივის ჯიბიდან კალმისტარი ამოუღია და ჩემი დისთვის მიუცია. ეს თქვენმა ძმამ მაჩუქა, თქვენ გქონდეთო. სამწუხაროდ, კიდევ დიდხანს არ იცოდნენ ჩემი ამბავი, როცა მე ოჯახს ჩემი სურათები გამოვუგზავნე, მისამართი არ გამომიტანებია. ჩემმა მეუღლემ გაზეთ „სამშობლოს ხმაში“ გამოაქვეყნა ჩემი სურათი.

გაზეთის ის ნომერი მე არ მინახავს, მიუხედავად იმისა, რომ არგენტინაში 7-8 ოჯახი იღებდა მას. განა ეს ბოროტება არ იყო? მე რომ ის ნომერი მენახა, უსათუოდ მოვწერდი წერილს და მისამართს. ამ კეთილშობილური გაზეთის საშუალებით მე მივმართავ ყველა ქართველს, ვინც კი იღებს მას, გადაეცით იმ პირებს წასაკითხად, ვისი სურათებიცაა დაბეჭდილი „დაგეძებენ, მოგელიან“ სათაურის ქვეშ. თუ შენ არ გინდა დაბრუნება, არავინ გაიძულებს, მხოლოდ ცუდი არ იქნებოდა, რომ მოგეწერათ ოჯახში ერთი წერილი მაინც, სურათით.

მე დღეს ხშირად ვწერ არგენტინაში ჩემს მეგობრებს და ცოლს წერილებს. დღეს მიწერ-მოწერის თავისუფლება არსებობს.

გასულ წელს აქ რესტორან „თბილისში“, რომელიც ინტურისტს ემსახურება, უცხოელებისათვის ბარი გახსნეს, მე ამ ბარში მთხოვეს მუშაობა, რადგან ვიცი უცხოელების ხასიათი და ენა. ერთ დღეს ბარში 5-6 ქართველი შემოვიდა. რა თქმა უნდა, აქ ხშირად შემოდიან ქართველები. ამ ჯგუფიდან ერთმა ქართველმა

(დასასრული მე-5 გვერდზე).

თბილისური ჩარხები

ოცდათხუთმეტი წლის წინათ, პირველი ხუთწლედის წლებში დამთავრდა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მშენებლობა. თავდაპირველად საწარმო უშვებდა საბურღ მოწყობილობას ჩვენი ქვეყნის ნავთობის სარეწებისათვის. კიროველთა საბურღმა დანადგარებმა შავი ოქროს მრავალი საკუჭნაო გახსნეს აზერბაიჯანის აფშერონის ნახევარკუნძულზე, გზა გაუხსნეს დედამიწის ზედაპირისაკენ ბაშკირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ნავთობის მარაგს.

კიროველებმა კარგი სამსახური გაუწიეს მენავთობეებს და 1936 წელს შეავსეს ჩვენი სამშობლოს ჩარხსაშენებელ საწარმოთა არსენალი. 5 თებერვალს ქარხანაში იშვა პირველი ჭანჭიკსაჭრელი ჩარხი. ამ ჩარხის წონა მაშინ არ აღემატებოდა 800 კილოგრამს. მანქანათსაშენებელმა საწარმოებმა იმ წელს მიიღეს თბილისური მარკის 10 ჩარხი.

1944 წელს საწარმოს კონვეიერიდან ჩამოვიდა ახალი სახარატო ჩარხები „დიპ-300“. დაუსრულებელ ნაკადად მიდიოდნენ ისინი ნანგრევებიდან აღდგენილ ქარხნებში. ამავე დროს თბილისელი ჩარხმშენებლები მიდიოდნენ შემდგომი ტექნიკური პროგრესის გზით და განუწყვეტლივ აუმჯობესებდნენ ქარხნის პროდუქციას. 1948 წელს შეიქმნა „1დ-63ა“ მოდელის ახალი ჩარხი, რომელსაც მეტი სიმძლავრე და მეტი ბრუნი ჰქონდა, ვიდრე მის წინამორბედს. რვა წლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მანქანათსაშენებელმა ქარხნებმა მიიღეს „163“ მოდელის სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის ახალი ნიმუში.

ნაკადური წარმოების, შეკრული საწარმოო უბნების ორგანიზაციის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის განუწყვეტელი დანერგვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების შეღწევად საწარმოს სიმძლავრე დღეს ერთიხუთად და მეტად გადიდდა.

სახარატო ჩარხების სერიულ წარმოებასთან ერთად, რომელსაც დღეს ყიდულობენ ისეთი დიდად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, როგორიცაა ინგლისი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და მრავალი სხვა, კიროველები ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას აძლევენ სპეციალურ ჩარხებსაც, რომელთა წონა ზოგჯერ 50-60 ტონას აღწევს. 30 წლის მანძილზე ქარხანამ გამოუშვა 240-ზე მეტი კონსტრუქციის სხვადასხვა ჩარხი, მანქანათსაშენებელი, მეტალურგიული და ნავთობის მრეწველობისათვის.

წელს თბილისელი ჩარხმშენებლები გამოუშვებენ 14 მილიონ მანეთზე მეტის სერიულ და წვრილსერიულ პროდუქციას. მოსკოვის ოლქის ქარხანა „ელექტროფოლადის“ შეკვეთით კიროველები ამთავრებენ „ტტ-130“ მოდელის უცენტრო სახარატო ჩარხის აწყობას, ხოლო სულ გამოუშვებენ 20-ზე მეტი სხვადასხვა მარკის ჩარხებს.

იბრძვიან რა საქარხნო მარკის ღირსებისათვის, თბილისელი ჩარხმშენებლები განუწყვეტლივ აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. ამ ცოტა ხნის წინათ მათ მწყობრში ჩააყენეს ახალი დანადგარი სადგარების წრთობისათვის მაღალი სიხშირის დენით. პრაქტიკულად ახლა სადგარები აღარ გაცვდება.

ქარხნის კოლექტივი სათუთად ინახავს და ამრავლებს იმ საწარმოს შესანიშნავ შრომითს ტრადიციებს, რომელიც აქ იშვა ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში. კიროველები ყოველდღიურად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, იბრძვიან გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ტექნიკური პროგრესისათვის.

მოწოდებული საკიდი გზით

მიდიან ვაგონეტები ტყვარჩელის № 3 შახტის შტრეკების თაღებქვეშ. მათ შეუფერხებლად მიაქვთ ქვანახშირის სანგრევებში მძიმე წონის მოწყობილობა, სამაგრი ხე-ტყე. კიდული გზის ორიგინალური კონსტრუქცია შეიმუშავა და ცალკეულ უბნებზე დანერგა შახტის ტექნიკურმა საბჭომ. ამ ღონისძიებამ ბევრად დააჩქარა მოსამზადებელი და ასაწმენდი სანგრევების მომარაგება საჭირო მასალებით, შეამსუბუქა ხე-ტყის მზიდავთა შრომა და შეამცირა მათი რაოდენობა. ხუთი განთავისუფლებული ხე-ტყის მზიდავი ახლა შრომობს იქ, სადაც მუშახელის ნაკლებობა იგრძნობა. ტექნიკური სიახლე ხელს უწყობს ერთ ტონა ქვანახშირსა და ერთი მეტრი გვირაბის გაყვანის თვითღირებულების შემცირებას.

ასრულებს რა გეგმით დასახულ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებებს, საწარმოს ტექნიკურმა საბჭომ წარმატებით გადაჭრა მაღალი მთის შახტის რთულ გეოგრაფიულ პირობებში სამუშაოს ადგილთან ადამიანთა მექანიზებული მიყვანის პრობლემა. ამ მიზნით აქ აფართოებენ საველე შტრეკის ორლიანდაგიან ნაწილს და გაჰყავთ დამატებითი შტრეკი. ამ ჰორიზონტალური გვირაბებით შახტის უბნებისაკენ მალე დაიწყებს მოძრაობას მიწისქვეშა ტრამვაი. გვირაბებში კი მაღაროელები თავიანთ სამუშაო ადგილებთან მივლენ საბაგირო გზის სკამებში მსხდომნი.

ექსპერიმენტები გრძელდება

თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმოდეგობის ინსტიტუტის საცდელ პოლიგონზე აგებულია უჩვეულო შენობა. გარეგნული ფორმებით იგი მოგვაგონებს გამჭვირვალე ცილინდრს. ორიგინალური საფარი და კედლები ამოყვანილია მინის ბლოკებისაგან, რომლებიც შეკავშირებულია რკინაბეტონის აჟურული სვეტებით. ამ „საჰაერო სასახლეში“ მოთავსებულია მოდელირების ლაბორატორია—ინსტიტუტის სამშენებლო მექანიკის განყოფილების სპეციალისტთა ჯგუფის ერთ-ერთი „სამფლობელო“. ამ ჯგუფს მეთაურობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ო. ონიაშვილი.**

ო. ონიაშვილი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტია გარსების ტიპის სივრცობრივი სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშების დარგში. მისი ხელმძღვანელობით დაპროექტდა და აიგო შენობის არაჩვეულებრივი „სახურავი“ — 25 მეტრი დიამეტრის დაკიდული გარსი.

იგი დამზადებულია მსუბუქი პემზაბეტონისაგან, რომელიც არმირებულია განსაკუთრებული ლითონის კარკასით. ასეთი ტიპის კონსტრუქციები ყველაზე ეფექტიანია დიდმალებიან სამრეწველო და საზოგადოებრივ ნაგებობათა გადასახურავად. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ამგვარი გადახურვის გამოცდილების უქონლობა ხელს უშლის ამ კონსტრუქციების ფართოდ დანერგვას სამშენებლო პრაქტიკაში.

მეცნიერი ხელმძღვანელობით განყოფილების თანამშრომელთა ჯგუფი ახლა სწავლობს ექსპერიმენტულ შენობაზე და მის სახურავზე სხვადასხვა სეისმური ძალის გავლენას. ეს სამუშაოები დაეხმარება სპეციალისტებს გაუმჯობესონ კიდული გარსების კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდიკა, დეტალურად შეისწავლონ, თუ რამდენად გაუწევენ ისინი წინააღმდეგობას მიწისძვრებს.

გამოკვლევით დადგენილია, რომ ასეთ გადახურვაზე თითქმის არ ახდენს გავლენას მიწისქვეშა ბიძგები, რომელთა ძალა ჰორიზონტული მიმართულებისაა.

ექსპერიმენტები გრძელდება.

დედაქალაქის ფოტომატიანე



სურათებზე: გმირთა მოედანი წინათ (ზემოთ) და ახლა (ქვემოთ).

საგვარეულო პროფესია

ჩაფიძე ცნობილი გვარია ქართველ მეშახტეთა ქალაქ ტყიბულში. პირველად ამ გვარს სახელი მოუხვეჭა **ალექსანდრე ჩაფიძემ,** რომელმაც ოცდაათი წელი მოახმარა მეშახტის ძნელ, მაგრამ საპატიო საქმეს.

ახლა ა. ჩაფიძე პენსიაზეა, მაგრამ, მამის საქმეს განაგრძობენ მისი შვილები ლევანი, ბონდო და გიორგი — ლენინის სახელობის შახტის გამოცდილი მნგრეველები. შვილებმა მამას აჯობეს. მათ დაეხმარა სკოლა, ტექნიკუმი. მაგალითად, ბონდო შახტში მოვიდა რიგით მნგრეველად. მაგრამ მალე გახდა უბნის უფროსის თანაშემწე. იგი მუშაობასთან ერთად კიდეც სწავლობდა, დაამთავრა მუშა-ახალგაზრდობის სკოლა და ჭუთაისის სამთო ტექნიკუმი. ბონდოს იცნობენ არა მარტო როგორც თავისი საქმის კარგ ოსტატს და ნიჭიერ რაციონალიზატორს, არამედ აგრეთვე როგორც გაბედულ ვაჟკაცს. მის ბიოგრაფიაში არის პატარა, მაგრამ დაუვიწყარი ფურცელი.

ჩამონგრეულმა ქვანახშირმა ამოავსო კვერშლაგის და შტრეკის ნაწილი, სადაც სამი გვირაბგამყვანი იყო. გარე სამყაროს მოწყვეტილი ადამიანები. სიცოცხლის არავითარ ნიშანწყალს არ იძლეოდნენ, ძვირფასი იყო ყოველი წუთი. სამ საათს გაგრძელდა ბრძოლა მეშახტეთა სიცოცხლისათვის. და მამაცებმა ბონდოს ხელმძღვანელობით გაიმარჯვეს.

ჩაფიძეების განთქმულ მეშახტეთა დინასტიის ანგარიშზეა უკვე 200 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი. აქედან 75 ათასი ტონა მოანგრია დინასტიის მეთაურმა ალექსანდრემ.

80 პრეპარატს

უშვებს თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა. მისი მთავარი პროდუქციაა ტანინი, რომელსაც ფართოდ იყენებენ მედიცინაში, კვების, მსუბუქ და ქიმიურ მრეწველობაში. იგი მზადდება ადგილობრივი ნედლეულისაგან — ჩაის წარმოების ნარჩენებისაგან — სქემით, რომელიც შეიმუშავა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიევის თბოფიზიკის ინსტიტუტმა.

ამას წინათ ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა მთლიანად მექანიზებული საამქრო, რომელიც ამ დიდნიშნელოვან სამკურნალო საშუალებას უშვებს. აქ დადგმულია ასაორთქლ-საშრობი მანქანა, აგრეთვე განუწყვეტლივ მოქმედი ექსტრაქტორი, რომელიც შექმნეს საქართველოს მეტალურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა. ამ აგრეგატის მწარმოებლობა თითქმის ექვსჯერ მეტია, ვიდრე ძველი აპარატურისა. ახალი საამქროს ამუშავებით მკვეთრად გადიდდა ტანინის გამოშვება და გაუმჯობესდა მისი ხარისხი.

ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში დამზადებული ტანინი ახლა იგზავნება მსოფლიოს 30 ქვეყანაში.



ქართველი პოლიგლოტი


11 ენა გარდა დედა ენისა

სოხუმი. რეზო ხარჩილავამ იცის რუსული, აფხაზური, სომხური, ბერძნული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური, გერმანული ენები. ლაპარაკობს აგრეთვე ჩეხურ, პოლონურ და რუმინულ ენებზე. მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, იგი უკვე მრავალი წელია მუშაობს სრულიად საკავშირო საქციო საზოგადოება „ინტურისტის“ აფხაზეთის განყოფილებაში. მას ნახავთ უცხოელი ტურისტების თარჯიმნად, სხვადასხვა ქვეყანაში მიჰყვება საბჭოთა ტურისტების ჯგუფებს.

ამას წინათ რ. ხარჩილავა დაბრუნდა საზღვარგარეთ ხანგრძლივი მოგზაურობიდან. იგი ახლდა საბჭოთა ავტობუსს „სიჭაბუკის“ ეკიპაჟს, რომელიც მონაწილეობდა მეთხუთმეტე საერთაშორისო ავტორალიში საფრანგეთში. რალის მთავარი მიზანი იყო გამოევლინებინა ევროპის საუკეთესო ტურისტული ორგანიზაცია ტურისტთა საექსკურსიო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების თვალსაზრისით.

ამ თავისებური კონკურსის გამარჯვებულად ჟიურიმ ცნო რეზო და მას მიანიჭა მთავარი პრიზი — საფრანგეთის პრეზიდენტის პრიზი — „ლუვრის ცისფერი ვაზა“, ტურიზმის საერთაშორისო კომისარიატის მედალი და ქალაქ ნიცის ტურისტული ორგანიზაციის ალამი.

რ. ხარჩილავას დიდი სიხარული ეწვია. საკანდიდატო მინიმუმის პირველი გამოცდა გერმანულ ენაში „ფრაიდზე“ ჩააბარა. საკანდიდატო დისერტაციას იგი უძღვნის მოდალურ ზმნებს ზეპირ ინგლისურ მეტყველებაში.



ალაზანზე...

ახალი ცხოვრების ჩვიდმეტი თვე

(დასასრული).

მოითხოვა ინგლისური სიგარეტები და ვისკი. მე უარი განვუცხადე, რადგან ვაჭრობა ვალუტაზეა, მან ჯიბიდან საფულე ამოიღო და მითხრა: ინებეთ, ბატონო, დასავლეთ გერმანიის ფულია. მე იმ წუთში ყველას პატივი ვეცი და ვკითხე, საიდან იყვნენ. ომის ტყვე ვიყავი და ფრანკფურტში დავრჩი, ახლა ჩამოვედი როგორც ტურისტიო, მითხრა მან. მე გავაცანი ჩემი თავი და ვუსაყვედურე:

— რაღა ტურისტად მოდიოდი, ხომ ხედავ, მე სამუდამოდ დავბრუნდი-მეთქი.

— რამდენი შვილი გყავდა არგენტინაში? — მკითხა მან.

— არც ერთი ღვთის მადლით.

—მე კი ოთხი შვილი მყავს. ეს ვაჟი ჩემი შვილია. ის მაშინ გაჩნდა, როცა მე ქერჩში ტყვედ ჩავვარდი. ახლა გავიგე, რომ ინჟინერი ვაჟიშვილი მყოლია და გულმა ვერ მომითმინა, სანახავად ჩამოვედი.

—მერე რატომ არ დარჩები სამუდამოდ?

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ ოთხი შვილის მიტოვება შეუძლებელია, ამ ჩემს ვაჟს ერთი თვით წავიყვან, გაიცნოს თავისი ძმები.

ასეც მოხდა...

ერთხელ წვეულებაზე ვიყავი ერთი მეგობრის ოჯახშიც. მიუხედავად იმისა, რომ სამი ვაჟკაცი არ დაბრუნებულა ომის შემდეგ, იქ მაინც დიდი სუფრა გაშალეს. თამარ ლაზაშვილის დედა მხოლოდ ერთი ქალიშვილითღა დარჩა ამ ქვეყანაზე. სამი ვაჟკაცი არ დაბრუნებულა. ნუთუ სამივე დაიღუპა? თითქოს შეუძლებელია, მაგრამ ცხოვრებაში ხომ ყველაფერია მოსალოდნელი.

ჩემს გვერდით ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი დაჯდა, ბევრი სურათი ამოიღო და მთხოვა მენახა, ხომ არავის ვიცნობდი. სამწუხაროდ, ნაცნობი არავინ აღმოჩნდა ამოდენა სურათებიდან. ბოლოს ვკითხე, რა ერქვა მის მამას. ქალიშვილი 1942 წელს დაიბადა, იმ დროს მისი მამა სევასტოპოლის ფრონტზე იბრძოდა, შეიძლება დღესაც ცოცხალია და არც იცის რა შეეძინა მის მეუღლეს.

მე ვუთხარი, რომ მყავდა ერთი მეგობარი, რომელსაც მისი მამის სახელი — ფელიქსი ერქვა, ერთად ვიყავით საფრანგეთში, მერე კი ის გერმანელებმა, მგონი, ბელგიაში წაიყვანეს.

ეს გოგონა უკვე 25 წლისაა. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, ინჟინრად მუშაობს კიროვის სახელობის ქარხანაში, ქ. თბილისში. მაინცდამაინც მამის სურათი თან არ ჰქონდა. მე შევპირდი, თუ მამაშენი მართლაც ის ფელიქსია, უსათუოდ ვიცნობ-მეთქი სურათზე.

ერთ დღეს, როცა სამუშაოზე მოვედი, ჩემთან ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი მოვიდა და მომართა: ბატონო შოთა, გთხოვთ ერთი წუთით მობრძანდეთ რესტორანში. ავედი, ვიცანი ის გოგონა. თავის დედა და ბიძა გამაცნო, რომლებიც ქ. მახარაძიდან ჩამოსულიყვნენ.

„თბილისის“ რესტორანში მშვენიერი ჯაზი უკრავს. როცა ჯაზის მუსიკოსებმა შემნიშნეს, იმ წუთში დაუკრეს ჩემი საყვარელი ძველი თბილისური, „მენახშირე“ და „არღნული“. ახალ გიჟურ მუსიკას არგენტინაში ვერასდროს ვერ ვიტანდი.

ამ ქალიშვილმა რამდენიმე სურათი მაჩვენა, მაგრამ ვერავინ ვიცანი. ბოლოს 5 წითელარმიელის სურათი ამოიღო, რომელიც 1941 წელს ფრონტზე წასვლის წინ გადაეღოთ. ხუთივე მახარაძიდან იყვნენ. ერთ ახალგაზრდას დავაკვირდი და წამოვიძახე: ეს არის ფელიქსი-მეთქი. დედა და შვილი წამოვარდნენ, ქალიშვილი გულში ჩამეკრა და ხმამაღლა ტირილით იმეორებდა: მამიკო, ჩემო მამიკო, სადა ხარ, ჩემო მამიკო. რესტორანი ხალხით იყო სავსე და ყველას ყურადღება მივაქციეთ. ზოგიერთ მათგანს, და მათ შორის მეც, ცრემლები მოგვადგა.

განა გვეპატიება ღმერთის და ოჯახის წინაშე ასეთი ბოროტება, ცოცხალი ვიყოთ და შვილს ან მშობლებს ვემალებოდეთ?

ამ შემთხვევამ მაიძულა დამეწერა ეს წერილი.

მრავალმა ქართველმა, მათ შორის მეც, შოთა თარხნიშვილმა, უკვე გავაბედნიერეთ 25 წლის მგლოვიარე ოჯახები. რატომ თქვენც არ უნდა გააბედნიეროთ, ქართველებო?

სერგო კოხრეიძე უნივერსიტეტში გერმანული ფაკულტეტის ლექტორად დანიშნეს, შოთა სტურუა ლიფტების მმართველია, მე კი უცხოეთის ბარის ადმინისტრატორი ვარ.

ღვთის მადლით აღარავის ავიწროებენ სამშობლოში არდაბრუნების გამო. თქვენი ნებაა, მხოლოდ ვინც ცოცხალი ხართ, მოიწერეთ, რატომ არ უნდა აცნობოთ თქვენს ობლებს თქვენი ამბავი? გაბედეთ, გადაწყვიტეთ. მე რომ არ გამებედა, დღესაც არგენტინაში უნდა ვგდებულიყავი.

შოთა თარხნიშვილი.

ივლისი, 1967 წელი.

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები

ბოლნისის სიონი

ბოლნისის სიონი ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლია. იგი ბოლნისის სამხრეთით, მდინარე ფოლადაურის მარცხენა მთაგორიან ნაპირზე მდებარეობს.

ტაძარი V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება.

ამ დროს ქართლში ვახტანგ გორგასალი მეფობდა. იგი შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი იყო. მის დროს ქართლი მნიშვნელოვნად დაწინაურდა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. გაძლიერდა და განმტკიცდა ეკლესიაც, რომლის მოთხოვნილებებს მცირე სამლოცველოები ვეღარ აკმაყოფილებდა. იწყება დიდი და ტევადი ტაძრების აგება.

ამ დროის დიდი ზომის ტაძრები ძირითადად უგუმბათო, ბაზილიკური ტიპისაა (ბაზილიკა — გრძივ ნაწილებად, ნავებად გაყოფილი შენობაა).

ამ პერიოდის საქართველოს ბაზილიკურ ტაძრებს შორის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ბოლნისის სიონია.

ამ ტაძრის ღირსება მხოლოდ მისი ხუროთმოძღვრება როდია. მის კედლებზე შერჩენილი წარწერიანი ქვები საქართველოს ტერიტორიაზე შემონახული ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშებია.

1936 წელს ტაძრის ირგვლივ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს წარწერიანი ქვა, რომელმაც დაუზუსტა ძეგლის აგების თარიღი. ამ წარწერის მიხედვით ეკლესია 15 წლის განმავლობაში — 478-494 წლების შუა — შენდებოდა. სხვა წარწერებიდან განსაკუთრებით საინტერესოა სამშენებლო წარწერა აღმოსავლეთ ფასადზე, რომელშიც მოხსენიებულია ეპისკოპოსი დავითი თავისი სამწყსოთი.

ბოლნისის სიონი გალავნით არის შემოზღუდული. გალავანში შესვლისთანავე თვალწინ წარმოგიდგებათ მომწვანო ტაძარი. კედლის მომწვანო მასივში ალაგ-ალაგ გაახრებულად არის ჩართული ღვინისფერი კვადრები, რომლებიც აცოცხლებს კედელს. ტაძარი, რომლის ფასადები თითქმის სრულიად მოკლებულია მორთულობას, მნახველზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენს სწორედ ქვის ფერითა და წყობის ოსტატური გამოყენებით.


ბოლნისის სიონი სამნავიანი ბაზილიკაა (შიდა სივრცე ბოძების ხუთი წყვილით გაყოფილია სამ ნაწილად, ცენტრალური ნავი აღმოსავლეთის მხრიდან დაბოლოებულია ნახევარწრიული შეფერილით, რომელიც ტაძრის საკურთხეველია).

ქრისტიანობის გავრცელების ადრინდელ პერიოდში ძირითადი ყურადღება ტაძრის შიდა სივრცის გადაწყვეტას ენიჭებოდა. ამიტომ არის, რომ ბოლნისის სიონი მონუმენტურია. მაგრამ მძიმე გარეგნული ფორმები აქვს. ფასადები თითქმის სრულიად არ არის მორთული, ტაძრის შიგნით ძირითადი ნაწილები კი რელიეფით არის შემკული. სვეტისთავებისა და ბაზრების მორთულობაში გამოყენებულია ცხოველთა გამოსახულებები, მცენარეული და გეომეტრიული მოტივები (იხ. ქვემო სურათი).

ბოლნისის სიონი საუკუნეთა მანძილზე ბევრჯერ გაუძარცვავთ და დაუნგრევიათ უცხოელ დამპყრობთ, მაგრამ ჩვენი წინაპრები ყოველთვის სათუთად აღდგენდნენ ხოლმე ტაძარს. ყველაზე დიდი რესტავრაცია ტაძრისა XVII საუკუნის 40-იან წლებში განახორციელა როსტომ მეფის მეუღლემ, მარიამ დედოფალმა. ამ დროს ეკუთვნის ტაძრის აგურის ყველა ნაწილი. ამ დროისაა სამსართულიანი სამრეკლოც, რომელიც ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით არის მოთავსებული.

თუმცა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ტაძარმა ძირითადად მაინც შეინარჩუნა პირვანდელი სახე და ჩვენამდე მოაღწია როგორც ადრეფეოდალური ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთმა ბრწყინვალე ძეგლმა.

ჯ. იოსებიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი.



სურათზე: ბოლნისის სიონი.

კურორტების მზარე

ექვსი წლის მანძილზე, პროფკავშირებისათვის კურორტების გადაცემის დღიდან, საქართველოს სანატორიუმებში, პანსიონატებსა და დასასვენებელ სახლებში საწოლების რიცხვი გაიზარდა თითქმის 4 ათასით, ხოლო დამსვენებელთა რიცხვი 123 ათასით და მეტით წელიწადში. მიღწეულია წარმატებები მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის და დასვენების ორგანიზაციაში, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მოწინავე მეთოდების დანერგვაში, სანატორიუმების სპეციალიზაციაში.

წლითიწლობით სულ უფრო მეტი სახსრები იხარჯება ჯანმრთელობის კერებისა და სხვა საკურორტო ობიექტების მშენებლობაზე, პროფკავშირული კურორტების კეთილმოწყობაზე.

წყალტუბოში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სანატორიუმების „იმერეთის“, „ივერიის“, „გელათის“ კორპუსები. კომფორტული საბაზანო შენობა. მწყობრში ჩადგა გუდაუთის დასასვენებელი სახლი „ალაშარა“, ახალი ათონის, ლესელიძისა და აგუძერის ჯანმრთელობის კერების ახალი კორპუსები.

ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკურ საბჭოს განზრახული აქვს დაამთავროს დიდი საკურორტო ობიექტების მშენებლობა. ნოემბრის პირველ რიცხვებში გაიხსნება კურორტი ბიჭვინთა. მის თხუთმეტსართულიან პანსიონატებსა და სასტუმროებში ერთდროულად მოთავსდება სამი ათასამდე კაცი. დამსვენებლებს მომსახურებას გაუწევს კურზალი, საცურაო აუზი, საზაფხულო კინოთეატრი, საზღვაო ეოგზალი, 1.300-ადგილიანი სასადილო, რესტორანი, კაფე, სავაჭრო საწარმოები. აშენდა საცხოვრებელი სახლების მთელი დაბა. კეთილმოწყობილია პლაჟი — ერთ-ერთი საუკეთესო აფხაზეთის სანაპიროზე.

გაგრაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს 310 ადგილიანი ახალი სანატორიუმის, სანატორიუმ „შუქურას“ და ჩელუსკინელთა სახელობის სანატორიუმის ახალი სამძლე კორპუსების მშენებლობა, რომელთა საექსპლოატაციოდ გადაცემა ერთიორად გაადიდებს ამ სანატორიუმების გამტარუნარიანობას. წყალტუბოში ინტენსიურად შენდება 500-ადგილიანი პოლიკლინიკა-პანსიონატი, საბაზანო შენობა № 6 და სხვ.

დიდი სახსრები იხარჯება ჯანმრთელობის კერების გაფართოებისა და კურორტების კეთილმოწყობისათვის. გაგრაში შენდება 40 კაბინიანი წყალსამკურნალო. კურორტი ახტალა მიიღებს სასადილოს შენობას, რომელსაც ექნება 300 ადგილიანი კინოდარბაზი.

საქართველოს პროფკავშირის კურორტების განვითარებაზე წელს სულ დაიხარჯება 10.970 ათასი მანეთი — 1,8-ჯერ მეტი, ვიდრე 1966 წელს.

საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭო წელს ზეგეგმითი მოგებისა და დაგროვების ხარჯზე არაცენტრალიზებული საკურორტო მშენებლობისათვის დამატებით დახარჯავს 3.300 ათას მანეთს. ამ სახსრებით შენდება საკურორტო წყალსადენები ციხისძირში, მწვანე კონცხზე, ზოგსა და უწერაში, პანსიონატ „ცივი წყაროს“ 300 ადგილიანი სასადილო, კლიმატური პავილიონები გაგრის ჩელუსკინელთა სახელობის სანატორიუმში, მენჯის სანატორიუმის საბაზანო შენობა. ფართოვდება ბალნეო-კლიმატური სანატორიუმი „სურამი“ და ბორჯომის დასასვენებელი სახლი „პლატო“. მნიშვნელოვანი სამუშაოები სრულდება წაღვერის, ბახმაროს, ნახუცრალის, ლესელიძის, გუდაუთისა და სხვა კურორტების განვითარებისათვის.

მიმდინარეობს საქართველოს სსრ საკურორტო რესურსების შემდგომი ათვისება. უწერაში შენდება 200-ადგილიანი პანსიონატი, ქობულეთში მომავალ წელს დაიწყება 800-ადგილიანი მრავალსართულიანი დასასვენებელი სახლის მშენებლობა. გაგრას შეემატება 900-ადგილიანი სასტუმრო, 500-ადგილიანი პანსიონატი და საერთო საკურორტო პოლიკლინიკა, ზამთრის საცურაო აუზი.


შეხვედრა პარიზში

1966 წლის 26 მარტი. ეს დაუვიწყარი თარიღი ყოველთვის სასიამოვნო მოგონებად დამრჩება ჩემი ცხოვრების მანძილზე. საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში შევხვდი 45 წლის უნახავ ძმას.

გულისამაჩუყებელი იყო ორივე ძმისათვის და იქ მყოფი ქართველებისათვის ეს ტკბილი და ბედნიერი შეხვედრა ორი ქართველი სისხლისა და ხორცისა. ხვევნა-ალერსის დროს თითქოს დავმუნჯდით ორივენი, უდიდესი მოზღვავებული გრძნობების გამო ხმას ვერცერთი ვერ ვიღებდით.

ამისრულდა დიდი ხნის ოცნება, ვნახე ჩემი საყვარელი ძმა, რომელიც შორეულ უცხო ქვეყანაში გადაიხვეწა. მაშინ მე ძალიან პატარა ვიყავი; ასე რომ აღარც კი მახსოვდა როგორი იყო იგი, მაგრამ გული გულს იცნობს ხოლმე, და ჩვენც პარიზის სადგურში ხელად ვიცანით ერთმანეთი. არ ვიცი, როგორ გადავუხადო მადლობა იმ ამხანაგებს, რომლებმაც საშუალება მომცეს მენახა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და საყვარელი ადამიანი, შეიძლება ითქვას, უცნობი ძმა!..

24 მარტს მოსკოვიდან მატარებლით გავედი პარიზის მიმართულებით. ვიცოდი, 26 მარტს უკვე პარიზში ვიქნებოდი. ვნერვიულობდი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მატარებელი პარიზს



კურორტ ახალი ათონის ერთ-ერთი კუთხე.

ახალი აეროვოგზალი

გადაწყდა აშენდეს რესპუბლიკის დედაქალაქში. ეს იქნება ვრცელი ორსართულიანი შენობა მინისა და რკინაბეტონისაგან. იგი გარეგნული ფორმებით მოგვაგონებს ისარს. აეროვოგზლის ნათელ კორპუსში იქნება ორი კომფორტული მოსაცდელი დარბაზი, ჰოლი და საბილეთო სალაროები, ხელბარგის მისაღებ-გასაცემი განყოფილებები. თბილისელ ავიატორებს მალე შესაძლებლობა ექნებათ 2-2,5-ჯერ მეტ მგზავრებს მოემსახურონ, ვიდრე ახლა.

ამ დღეებში საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი შეუდგა აეროვოგზლის შენობის სამუშაო ნახაზების შედგენას.

როგორი იქნება რესპუბლიკის დედაქალაქის ახალი აეროვოგზლის არქიტექტურული და ტექნიკური თავისებურებანი?

— ასეთი შეკითხვით მიმართა „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტმა პროექტის კონსტრუქტორთა ჯგუფის ხელმძღვანელს ინჟინერ ვ. კასარაძეს.

— აეროვოგზლის შენობა მთლიანად იქნება შეგუებული თბილისის კლიმატურ პირობებში ექსპლოატაციასთან. არქიტექტორებმა ვ. ბერიძემ და შ. თოდრიამ პროექტში გათვალისწინეს მაქსიმალური პირობები მომსახურებისა და მგზავრთა დასვენებისათვის. მოსაცდელ დარბაზებში შეიქმნება მიკროკლიმატი ვენტილაციისა და გათბობის ორიგინალური სისტემების დახმარებით. ზაფხულის ცხელ თვეებში მგზავრები თვითმფრინავის მოლოდინში დაისვენებენ და დიდი აივნიდან დატკბებიან ქალაქისა და საფრენი მინდვრის პანორამით. ეს აივანი შენობის მეორე სართულზე იქნება. ცხელი მზისა და წვიმისაგან მათ სრულიად დაიცავს განსაკუთრებული ჩარდახი მსუბუქი რკინაბეტონის კონსტრუქციებისაგან.

ახალი შენობა შექმნის ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს უკვე არსებულ აეროპორტთან და სასტუმროსთან. მნიშვნელოვნად გაფართოვდება აგრეთვე ვოგზლისპირა მოედანი. აქ გაშენდება სკვერები, გაყვანილი იქნება გზები, მოეწყობა ავტოტრანსპორტის გასაჩერებელი ადგილები.

„ყირიმის ველებზე“

დიდი სამამულო ომის პირველი ზამთარი. შიმშილი, გაჭირვება, ნგრევა მოიტანეს ფაშისტებმა ყირიმის მიწაზე. მაგრამ საბჭოთა ხალხი არ დაეცა სულით, მას მტკიცედ სწამს თავისი გამარჯვება...

ერთ-ერთი ფაშისტური ბომბი დაეცა ჩუკარინების სახლს, სადაც იყო სამი ქართველი ოფიცერი — ნიკო ავალიანი, ალექსანდრე ჯორჯიკია და რაჟდენ გვიმრაძე. ნანგრევებში დაიღუპნენ დედა და სამი ბავშვი. გადარჩა მხოლოდ ერთი წლის ვერა, რომელსაც დედა თავისი სხეულით გადაეფარა. ქართველმა მეგობრებმა იშვილეს ბავშვი, შეიყვარეს იგი ჯარისკაცული სიყვარულით, უზიარებდნენ მას მცირე საფრონტო ულუფას.

ომის გზებმა დააშორა ერთმანეთს ფრონტელი მეგობრები, დაიკარგა ვერა ჩუკარინას კვალიც. ფრონტიდან დაბრუნდა მხოლოდ ნიკო ავალიანი. იგი დღემდე ეძებს შვილობილს, მაგრამ უშედეგოდ...

რამდენი ასეთი გული დააშორა ერთმანეთს ომმა, რამდენი მწუხარება მოუტანა მან საბჭოთა ადამიანებს!

დიდი სამამულო ომის მონაწილე, ჟურნალისტი ვახტანგ სიხარულიძე თავის მოგონებებისა და დოკუმენტური მოთხრობების წიგნში მოგვითხრობს ჯარისკაცული ცხოვრების მრავალ ეპიზოდს, აგვიწერს საბჭოთა მეომრების გმირობასა და ადამიანურობას, ქართველი შენაერთის — 224-ე მსროლელი დივიზიის თავდადებულ ბრძოლას ყირიმის ფრონტზე.

ბევრი ქართველი ქალიშვილი და ჭაბუკი წავიდა ფრონტზე დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე. ისინი პირადი გმირობითა და მამაცობით აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა არმიის მეომრებს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

224-ე დივიზიამ ბრძოლებში დიდი ზარალი ნახა. ბევრი ჩვენი თანამემამულე დაეცა მამაცთა სიკვდილით ფრონტებზე. ქართველი ხალხი სათუთად ინახავს გულში გმირთა ნათელ ხსოვნას. ესენი არიან მზვერავი, საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ სხულუხია, კომისრები აკაკი გიორგაძე, ამბროსი რამიშვილი, ანდრია რამაზაშვილი, პოლკოვნიკი სიკო ტარიელაშვილი, პოდპოლკოვნიკი ტერენტი ურთმელიძე, ბატალიონის კომისარი ალექსანდრე გიორგაძე, უფროსი პოლიტხელი ვლადიმერ ყიფიანი და მრავალი სხვა, რომლებზეც მოთხრობილია ვ. სიხარულიძის წიგნში.

ომში დაღუპულთა სახელები მიეკუთვნა ქუჩებს, მოედნებს, კოლმეურნეობებს, სკოლებს, კულტურის სახლებსა და ბიბლიოთეკებს.

გმირთა ხსოვნის უკვდავყოფაში თავისი მცირე წვლილი შეაქვს ვ. სიხარულიძის თავისი წიგნით „ყირიმის ველებზე“, რომელიც გამოუშვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

მიუახლოვდა... სწრაფად ილევა გზა, ნერვიულობა უფრო მემატება, ადგილს ვერ ვპოულობ, თან ვფიქრობ და ჩემს თავს ვეკითხები: ვიცნობ თუ არა ძმას? თავს ძალას ვატან, როგორმე დავმშვიდდე, მაგრამ ამაოდ, ნერვებს და მოზღვავებულ სიხარულის გრძნობას თავისი გააქვს.

აი მატარებელი უკვე გაჩერდა პარიზის სადგურში. მე გასასვლელ კარებში ვდგავარ და ვათვალიერებ პერონზე მყოფ შემხვედრ ადამიანებს. ვხედავ, ჩემ შესახვედრად მრავლად მოსულან ქართველები. უცბად შევეფეთე ელვარე თვალებს და ვიცანი, ეს სწორედ ის თვალები იყო, რომელთა დანახვაზე ვოცნებობდი მრავალი წლის განმავლობაში.

ორივემ ერთსა და იმავე დროს შევხედეთ ერთმანეთს. „შალიკო“! მთელი ხმით დაიყვირა ძმამ. მეც, ალბათ, უფრო მეტი ხმით დავიყვირე: „საშა“, და არ მახსოვს, მატარებლიდან გადავვარდი, გადავფრინდი თუ ვინმემ გადამაგდო. გონს მაშინ მოვედი, როდესაც გულში ჩახუტებული ორი ქართველი ძმა ბადურაშვილები იქ მყოფმა ქართველებმა ძლივს მოგვაშორეს ერთიმეორეს.

ძალიან მაინტერესებდა საშას ფიზიკური და მორალური მდგომარეობა. მაგრამ ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ჩემს წინ იდგა მშვენიერი, დარბაისელი, ჯმუხი ქართველი ვაჟკაცი. როგორც შემდეგ შევიტყე, თურმე ძლიერ უყვართ იქ მყოფ ქართველებს, რადგან არის კეთილი, პატიოსანი, მშრომელი ადამიანი, უსაზღვროდ უყვარს თავისი ქვეყანა.

ორი თვის იქ ყოფნის პერიოდში ბევრი ქართველის ოჯახი გავიცანი, ჩავიხედე მათს პირად ცხოვრებაში და მინდა დიდი კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ისინი პატიოსანი მუშის ან მოსამსახურის შრომას ეწევიან და მათთვის სხვა დანარჩენი არაფერი არსებობს, გარდა თავის სამშობლოზე ყოველდღიური ფიქრისა.

ჩვენი გაცნობის დღიდანვე მათი სურვილი იყო ჩემთვის პატივი ეცათ. ყოველთვის ცდილობდნენ საფრანგეთიდან უმაყოფილო არ წამოვსულიყავი, რომ მენახა ყველაფერი, დამეთვალიერებინა მშვენიერი პარიზი, მისი ყველა ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლები, მუზეუმები.

ძლიერ მომეწონა ქართველთა ოჯახები და მათი წესიერი, სტუმართმოყვარე ახალგაზრდობა, რომლებმაც ქართული არც იციან, მაგრამ თავიანთი მშობლების ზეგავლენით გამსჭვალული არიან საქართველოს დიდი სიყვარულით.

ჩემი საფრანგეთში ყოფნის უკანასკნელ პერიოდში ხალისი წამიხდა, მალე ძმას კვლავ უნდა დავშორებოდი. ამას ძმაც გრძნობდა, ვატყობდი, ისიც დარდობდა, მაგრამ არ ვიმჩნევდით. და აი დადგა დრო ჩემი სამშობლოში დაბრუნებისა. მზადა ვარ სადგურში წასასვლელად, მოვიდნენ ჩემი ძმის მეგობრებიც.

დღის პირველი საათია. ჩვენ უკვე სადგურში ვართ; აქ თავი მოუყრია ბევრ ქართველს, ახლოვდება მატარებლის გასვლის დრო, ვემშვიდობები ყველას.

დაიძრა მატარებელი. სამშობლოსაკენ! გადავხედე იქ მყოფ გამცილებელთ, რომლებსაც თვალები ცრემლებით ჰქონდათ სავსე.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საფრანგეთში ნანახი სასიამოვნო და სამახსოვროა, ყოველთვის დამრჩება ტკბილ მოგონებად იქ გატარებული დრო, ყოველი თვალწარმტაცი სანახაობა, მაგრამ ადამიანი სადაც არ უნდა იყო, პარიზში თუ სხვა რომელიმე ქალაქში, შენი სამშობლო რომ მოგაგონდება, გული გეკუმშება, რადგან სამშობლოსთანა საყვარელი ამ ქვეყნად არაფერია. მოვდიოდი ამ მშვენიერი ქალაქიდან და გული სიხარულით მევსებოდა, რომ რამდენიმე დღეში უკვე ფეხს დავადგამდი ჩემს საყვარელ ქართულ მიწაზე.

შალვა ბადურაშვილი.

ფ. 14/98

თეატრის დაგვიანება

რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი, — ასე ეწოდება კიდევ ერთ ახალ თეატრს, რომელიც წელს შეიქმნა საქართველოში.

ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ახალგაზრდა ქალაქში პირველი თეატრის შექმნა სასიხარულო მოვლენაა კულტურულ ცხოვრებაში.

თეატრი ძირითადად დადგამს თანამედროვე ქართველ დრამატურგთა პიესებს. მის რეპერტუარში შევა აგრეთვე ქართველ და დასავლეთ ევროპის კლასიკოსთა ნაწარმოებები. თავის პირველ სეზონში თეატრი მაყურებლებს უჩვენებს ე. როსტანის პიესას „სირანო დე ბერჟერაკი“ და პ. კაკაბაძის ცნობილ კომედიას „ყვარყვარე თუთაბერს“.

ახალი თეატრისათვის სპეციალურად დაწერეს პიესები რ. თაბუკაშვილმა და ო. იოსელიანმა.

თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნულია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ლორთქიფანიძე.

პირველ სპექტაკლს თეატრი უჩვენებს ნოემბრის პირველ რიცხვებში.

ქართველი სპეციალისტები საზღვარგარეთ

ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე ათეული დიპლომიანი სპეციალისტი ამ ბოლო დროს გაემგზავრა საზღვარგარეთ, რათა დაეხმაროს სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების ხალხებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაში.

სადღა არ შეხვდები დღეს საქართველოს წარმომადგენლებს — არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში და ირანში, ალჟირსა და სირიაში, კონგოსა და კვიპროსში, კუბასა და მონღოლეთში და ბევრ სხვა ქვეყანაში.

უკვე წელიწადია მუშაობს კუბის მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ინჟინერ-მინერალოგი **თ. თბალჭრელიძე**. თავისუფლების კუნძულზე ძიებას აწარმოებს ჰაიდროგეოლოგი **ე. შენგელია**.

ალჟირში წყლის ახალი რესურსების აღმოჩენაზე მუშაობს საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერ-ჰიდროლოგი **ს. ელერდაშვილი**. კონიაკის წარმოების სპეციალისტები **ვ. ბოკოჩაძე** და **ნ. გლუაშვილი** ეხმარებიან კვიპროსს სპირტის საწარმოთა ორგანიზაციაში. სირიაში გზებს აშენებს ინჟინერი **ა. კალანდარიშვილი**. მონღოლეთის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ინგლისურ ენას ასწავლის **კ. კალანდაძე**.

საქართველო მდიდარია სამედიცინო კადრებით, ეს ცნობილია მთელ მსოფლიოში. ამიტომ ბევრი ქვეყანა მოგვმართავს დახმარებისათვის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

20 ქართველი ექიმი-ქირურგები, თერაპევტები, ფტიზიატრები, რენტგენოლოგები — მკურნალობს ალჟირის მცხოვრებლებს. ალჟირელთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს თერაპევტებმა **კ. ჭართველიშვილმა**, **შ. ყურაშვილმა**, **მ. სიხარულიძემ**, რენტგენოლოგებმა **ნ. გალუსტაშვილმა**, **რ. პეკურაშვილმა**, ქირურგებმა **ნ. დარჩიამ**, **გ. ნადარეიშვილმა**, ჰემატოლოგმა **გ. ხუციშვილმა** და სხვებმა.

ეთიოპიაში ორი წლის ყოფნის შემდეგ დაბრუნდა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი-თერაპევტი პროფესორი **ვ. ალადაშვილი**.

სადაც უნდა მუშაობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები, მათი შრომა მაღალ შეფასებას იმსახურებს. რამდენიმე წელს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშაობდა ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფი. ყველა ისინი დაჯილდოვებული არიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მედლებით.

რამდენიმე წელს მუშაობდა ტექნიკოსად კუშკა-გერათ-კანდა-გარის 700-კილომეტრიანი საავტომობილო ტრასის მშენებლობაზე **ე. ჯამბაძიძე**. ავღანეთის მთავრობამ დიდად დააფასა მისი დამსახურება და დაჯილდოვა ვარსკვლავის ორდენით. ეს ჯილდო დაიმსახურეს ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლებმაც, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ავღანეთის უმნიშვნელოვანესი საავტომობილო ტრასების მშენებლობაში.

ახალი ელჭვირი მცენარეებისათვის

რუსთავი. კომპლექსური მინერალურ-ორგანული სასუქი ყველაზე მეტ ეფექტს იძლევა მცენარეთა დამატებითი გამოკვების დროს. მას იღებენ, როგორც წესი, ნავთობგადამმუშავებელი ქარხნებისა და გოგირდმჟავას წარმოების ნარჩენებისაგან.

რუსთავის ქიმიური კომბინატის აზოტიანი სასუქის ქარხანაში შექმნილმა შემოქმედებითმა ჯგუფმა, რომელშიც შევიდნენ ინჟინერი-ქიმიკოსები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მიზნად დაისახა მიეღოს კომპლექსური მინერალურ-ორგანული სასუქი ტორფისაგან.

ცნობილია, რომ ტორფი შეიცავს ძირფას ორგანულ შენაერთებს: ნახშირბადებს, ცელულოზას, ლიგნინს, გუმინის სიმჟავეებსა და სხვ. განსაკუთრებით ძვირფასია გუმინის მჟავა. როგორც ბიოლოგ - ნიადაგმცოდნეთა უკანასკნელმა ნაშრომებმა ცხადყვეს, იგი მცენარეული ნაშთების ბაქტერიული გახრწნის პროდუქტია და შეუძლია გააქტიუროს მცენარეთა მიერ სხვადასხვა მაწიერი ნივთიერების ათვისება.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა **გ. ახალაიამ** თქვა:

— რუსთაველი ქიმიკოსები ტორფს ამუშავებდნენ აზოტიანი სასუქის ქარხანაში მიღებული ქიმიური შენაერთებით, ბოლოს, მრავალი ცდის შემდეგ მიღებული იყო სასუქი, რომელიც შეიცავდა თავისუფალ გუმინის მჟავას, 20 პროცენტამდე აზოტის შემცველ მინერალურ სასუქებსა და სხვა ძვირფას კომპონენტებს.

ლაბორატორიული გამოცდა ახალ სასუქს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.





დაგვიანებენ, ელოდებიან

გრიგოლ (გრიშა) ევგენის-ძე ჭოტივას (ცანავას), დაბადებულს 1922 წელს სოფელ აბაშაში (აბაშის რაიონი), ეძებენ დედა — მინადორა დიმიტრის ასული, და — ნაზი ჭოტივები.

ვანო (ივანე) მიხეილის-ძე მეტრეველს, დაბადებულს 1919 წელს ქ. თბილისში, ეძებენ მამა — მიხეილ ივანეს-ძე, ძმა — ვლადიმერ (ლადო) მიხეილის-ძე მეტრეველები.

• • •

სურათებზე: გ. ე. ჭოტივა (ზემოთ) და ვ. მ. მეტრეველი (ქვემოთ).

სპორტული მიმოხილვა

ოქროს „ნაკადული“ და „ცისკარი“

ეს კვირა მართლაც რომ სასიხარულო აღმოჩნდა. თითქმის ერთდროულად მოვიდა ცნობები როსტოვიდან და გორკიდან, სადაც თბილისელმა ბავშვებმა ოქროს მედლები მოიპოვეს „ტყავის ბურთის“ პრიზზე საკავშირო ფეხბურთის ასპარეზობებში. მაგრამ მოდით ყველაფერს თავიდან მოვყვეთ.

ორიოდე თვის წინ დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ეზოებისა და სახლმმართველობათა გუნდებს შორის. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის გუნდებმა **„ნაკადულმა“** (12-13 წლის ასაკი) და **„ცისკარმა“** (14-15 წლის ასაკი) პირველი ადგილები დაიკავეს და საკავშირო ასპარეზობაში ჩაებნენ.

დონის როსტოვში 12-13 წლის ასაკის ფეხბურთელთა 24 გუნდმა მოიყარა თავი სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. გუნდები ჯერ ქვეჯგუფებში ასპარეზობდნენ. „ნაკადულმა“ პირველი ადგილი მოიპოვა ქვეჯგუფში. თანმიმდევრულად დაამარცხა ტაშკენტელები — 1:0, ესტონელები — 2:0, თათრეთის გუნდთან ფრე — 0:0, მოლდაველებთან 3:1, როსტოვთან — 3:0. ნახევარფინალში დაამარცხეს ელისტას „ოგონიოკი“ — 1:0, ფინალში კი ფრედ 0:0 ითამაშა კიევის „ენთუზიასტთან“. გამარჯვებულის გამოსავლინებლად დაინიშნა ხუთი თერთმეტმეტრიანი დარტყმა, პირველ სერიაში ორივემ ოთხი ბურთი გაიტანა, მეორეჯერ თბილისელებმა კვლავ ოთხი ბურთი გაიტანეს, კიეველებმა კი ორი ბურთი. ამრიგად, ანგარიშით 8:6 გაიმარჯვეს თბილისელებმა და პირველი ადგილი დაიკავეს.

ასევე წარმატებით გამოვიდა 14-15 წლის ასაკის გუნდების ასპარეზობაში თბილისის „ცისკარი“. ბავშვებმა მართლაც შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენეს, დაამარცხეს ყველა მეტოქე ისე, რომ საკუთარ კარში ბურთი არ მიუღიათ. ფინალში კი აზერბაიჯანელებთან 0:0 ითამაშეს. აქაც პენალტებმა გადაწყვიტა პირველი ადგილის ბედი. ჩვენმა ბავშვებმა ხუთიდან ხუთივე ბურთი გაიტანეს, მეტოქემ კი ორი ბურთი გაფრინა.

ქართველი ბავშვების ამ გამარჯვებამ ოპაშაებში, რომელთა ფინალები საკავშირო ტელევიზიამ გადმოსცა, აღფრთოვანება გამოიწვია. მაშასადამე, არის ცვლა, კვლავ გაჩნდებიან ახალი პაიჭაძეები, მესხები და მეტრეველები.

წინა მიმოხილვის შემდეგ ორი მატჩი გამართეს „ნაკადულისა“ და „ცისკარის“ უფროსობა კოლეგებმა, თბილისის „დინამომ“ და ქუთაისის „ტორპედომ“. ჯერ ერთმანეთს შეხვდნენ თბილისში და „დინამომ“ მოუგო — 2:0 (ორივე გოლი გ. ნოდიამ გაიტანა, რომელიც ახლა თბილისელთა ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელია და რომელიც მ. ხურცილავასთან და გ. ცხოვრებოვთან ერთად ნაკრებშია შეყვანილი). შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის გუნდები უკრაინაში გაემგზავრნენ. ქუთაისელები კიევში შეხვდნენ ადგილობრივ „დინამოს“, თბილისელები კი ოდესაში „ჩერნომორეცს“. ქუთაისელების წაგება ჩემპიონთან „დაგეგმილი“ იყო, თბილისელთა მარცხს არავინ ელოდა, მაგრამ რას იზამ, ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ორივე გუნდმა, რომელთა თამაშები კიევსა და ოდესაში ერთ დღეს და ერთდროულად მიმდინარეობდა, ერთნაირი ანგარიშით 0:2 განიცადა დამარცხება.

მორიგი მატჩები ქუთაისელებმა ოდესაში, ხოლო თბილისელებმა კიევში გამართეს. კვლავ წარუმატებლობა. „ტორპედო“ დამარცხდა — 0:2, თბილისის „დინამო“ კი — 0:3.

ო. ლორთქიფანიძე.

გამოიწერეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი ვისარეკლამოა

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.